საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 69

ქ. თბილისი
11/09/2020

ხარისხის მართვის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

2018-2019 წლებში ევროსტატის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ჩატარდა საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის გლობალური შეფასება. განხილულ საკითხებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქსტატში ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებას. ამ საკითხთან დაკავშირებით შეფასების დოკუმენტში გამოთქმული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი ითვალისწინებს მაღალი დონის კომიტეტის (სამუშაო ჯგუფის) შექმნას ხარისხის მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის ზედამხედველობის მიზნით. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში გამოთქმულ ინიციატივებს და მათ შედეგად დასახული სამოქმედო გეგმების შესრულებას.

ამგვარი ჯგუფის შექმნა გათვალისწინებულია საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიითაც (2020-2023 წწ.).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 406 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეფასების რეკომენდაციებისა და სტრატეგიის მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად

ვბრძანებ:

1. ხარისხის მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
   1. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი/მოვალეობის შემსრულებელი – სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
   2. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეები – ჯგუფის წევრები;
   3. ბიზნესის სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;

4. ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
6. მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
7. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი /მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
8. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი /მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
9. სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
10. სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
11. სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – ჯგუფის წევრი;
12. ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
13. შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
14. სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის მეთოდოლოგიისა და ხარისხის მართვის სამმართველოს უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი – ჯგუფის წევრი;
15. სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის მეთოდოლოგიისა და ხარისხის მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – ჯგუფის წევრი, სხდომის მდივანი.

2. დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის თანდართული დებულება
3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებები განისაზღვროს შესაბამისი დებულებით.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება გაეცნოს ყველა მასთან დაკავშირებულ პირს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი